



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 244/ს
29/05/2023

244-21-4-202305291409



**მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოპრინტის“ ქალაქის ნარჩენების
გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების
ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ნეოპრინტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში, ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 18 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში შპს „ნეოპრინტის“ ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-692).

2022 წლის 10 მარტს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ნეოპრინტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷-ე და 79⁸-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №067535 და №067536 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნეოპრინტის“ ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 15 501 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.02.40.170, 72.02.40.171 და 72.02.40.172). ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, წეროვნის დევნილთა დასახლება, დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ნარეკვაზი - 10 მეტრში. ტერიტორიის აღმოსავლეთით მიუყვება წყლის საწრეტი არხი, ხოლო დასავლეთით წეროვან-ნატახტარის შემაერთებელი შიდა სასოფლო გრუნტის გზა.

გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოში ხორციელდება ქალაქის ნარჩენების (მუყაოს მაკულატურა) გადამამუშავება და ყავისფერი ქალაქის წარმოება, რისთვისაც ობიექტზე მოწყობილია 2 ტექნოლოგიური ხაზი (თითოეულის წარმადობა 400 ტ/თვეში). საწარმოში წლის განმავლობაში ხორციელდება 9 600 ტონა ქალაქის წარმოება, რისთვისაც ნედლეულის სახით გამოიყენება 12 480 ტონა მაკულატურა, 115,2 ტონ ალკილ-კეტენ-დიმერი, 115,2 ტონა კათიონური სახამებელი და 96

ტონა ალუმინსილიკატები. ობიექტი მუშაობს 345 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმებულია 130 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დანადგარ-მექანიზმების გარდა, ობიექტზე (პირველ სართულზე, ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის გვერდით) დამატებით განთავსდა 3 ახალი ტექნოლოგიური დანადგარი, კერძოდ: „DSY-T650C“ მოდელის სასაჩუქრე ბოთლების ჩასაწყობი ყუთების დამამზადებელი დანადგარი, „HCM-1600“ მოდელის ქალაღის/მუყაოს კუთხეების დამამზადებელი დანადგარი და „HCM-1600“ მოდელის ქალაღის/მუყაოს სატიხრე კედლების დამამზადებელი დანადგარი. ამასთან, ობიექტზე ასევე დაგეგმილია მაკულატურის საპრესი დანადგარის განთავსება. პროდუქციის საწარმოებლად ზემოაღნიშნულ ტექნოლოგიურ დანადგარებში ნედლეულად გამოიყენება საწარმოში წარმოებული ქალაღი. ობიექტის წარმადობა, გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობები და სახეობრივი შემადგენლობა, ასევე, სამუშაო რეჟიმი დარჩა უცვლელი. ამასთან, ენერგორესურსების დაზოგვის მიზნით, საწარმოო შენობის სახურავზე, დაგეგმილია მზის პანელების განთავსება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასაჩუქრე ბოთლების ჩასაწყობი ცილინდრის ფორმის ყუთების დასამზადებელ დანადგარში ერთი ყუთის დასამზადებლად საჭიროა დაახლოებით 80 გრამი ქალაღი. ტექნოლოგიურ ხაზზე, დღის განმავლობაში შესაძლებელია დამზადდეს 2000-2500 ც ბოთლი. დანადგარზე, ქალაღის რულონის საკიდ მოწყობილობაში დამაგრებულია მექანიკური ამწე (ტალი), რომლის მეშვეობით დანადგარზე იდება 7 სმ სიგანის რულონები (ერთდროულად შესაძლებელია ხუთი რულონის განთავსება). ქალაღის დამაგრების შემდეგ, ნედლეული გადადის წებო-ემულსიით დამამუშავებელ დანადგარზე, ავტომატურად ესმევა წებო, ხოლო შემდგომ გადაინაცვლებს დამხვევ დანადგარზე, მილის ფორმის ყუთების - ე.წ. „ტუბუსის“ მისაღებად. ბოლო ეტაპზე, ე.წ. „ტუბუსი“ მექანიკურად გადაიტანება საჭრელ დანადგარზე, საჭირო (შეკვეთიდან გამომდინარე) ზომაზე დასაჭრელად. დაჭრილი მილები გადადის ეტიკეტის დასაკრავ დანადგარზე, სადაც ხდება თუნუქის ძირის დახუფვა, ეტიკეტირება და მზა პროდუქციის მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ქალაღის/მუყაოს კუთხეების დასამზადებელ დანადგარზე, ქალაღის კუთხეების საწარმოებლად, დამონტაჟებულია ქალაღის რულონების ჩამოსაკიდი ხაზი, საიდანაც წებოს (ჰვა) წასასმელ დანადგარზე შედის 15 ფენა ქალაღი, რომელთაგან 14 ფენა 7 სმ სიგანისაა, ხოლო 1 ფენა - 15 სმ სიგანის. ქალაღები ეწებება ერთმანეთს და გადადის კუთხის ფორმის მიმღებ მექანიზმზე, სადაც დაყენებულია 10 ცალი ცილინდრი, რომელიც ქალაღს აძლევს ცილინდრის ფორმას. მზა კუთხეები გადადის საჭრელ დანადგარზე (ე.წ. „გილიოტინა“), იფუთება და მზადდება რეალიზაციისათვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მუყაოს/ქალაღის სატიხრე კედლების ე.წ. „ფიჭის“ დასამზადებელი და ლამინაციის დანადგარში, ქალაღის რულონების დასაკიდ მოწყობილობაზე იკიდება 2 ცალი 800 კგ-იანი რულონი, საიდანაც ქალაღი დანადგარს მიეწოდება 2 ფენად, გასასწორებლად და წებოს წასასმელად. დანადგარზე დამონტაჟებულია ამთვლელი, 2 ერთეული ტუმბო და რეგულატორები, რომლის საშუალებითაც ხდება კასრიდან წებოს შესაბამისი რაოდენობის ამოტუმბვა და დანადგარისათვის მიწოდება. აღნიშნულის შემდგომ, წებოწასმული ქალაღი გადადის ე.წ. „უთოზე“, სადაც ხდება ქალაღის შრობა. გამშრალ ქალაღს კვლავ ესმევა წებო და

მიეწოდება ე.წ. „ფიჭის“ დამზადებელ დანადგარს. აღნიშნულის შემდგომ, მიღებული პროდუქტი გადადის ლამინაციის დანადგარზე, სადაც ესმევა წებო და ეფარება ქალაღი. პროცესი მიმდინარეობს პროგრამულად, პულტის მეშვეობით. დანადგარზე ხდება სხვადასხვა ზომისა და სიმაღლის ე.წ. „ფიჭის“ დამზადება (0.8 სმ-დან 5-6 სმ-მდე).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განთავსებული დანადგარები მცირე, მაგრამ დამატებითი ემისიების წყაროებია. იმის გათვალისწინებით, რომ დანადგარები დამონტაჟებულია კაპიტალურ შენობაში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება გაიზრდება უმნიშვნელოდ. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებული დანადგარების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ერთჯერადი გაზომვის შედეგები, რომლის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილია ერთჯერადი გაზომვების ჩატარების მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესახებ ინფორმაცია, ასევე, გამზომი ხელსაწყოთა საპასპორტო მონაცემები და კალიბრაცია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დანადგარ-მექანიზმები განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში, რაც ამცირებს ხმაურის გავრცელებას, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენის სახით წარმოიქმნება წუნდებული მუყაო, რომელიც გადამუშავდება საწარმოში ძირითად ტექნოლოგიურ დანადგარზე. ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება არსებული ჭიდან შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე და მდ. ნარეკვავიდან. მდინარიდან დღიურად ხდება მაქსიმუმ 30 მ³ წყლის ამოღება, იმ შემთხვევაში, როცა ჭაში არ იქნება საჭირო წყლის რაოდენობა. ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული წყლის დიდი ნაწილი ბრუნდება წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში, ნაწილი კი ორთქლის სახით გაიფრქვევა. ორთქლის სახით დაკარგული წყლის შესავსებად საწარმოს ყოველწლიურად ესაჭიროება ჯამურად 38 400 მ³ ტექნიკური წყალი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოში დამატებულ დანადგარებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი წყლის რესურსის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობა ხორციელდება არსებულ, კაპიტალურ შენობაში. ტერიტორია მობეტონებულია, რომელიც აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთიდან შემოღობილია ბლოკის წყობით აგებული კაპიტალური ღობით, რომელშიც დასავლეთის მხრიდან მოწყობილია ტერიტორიის ცენტრალური შესასვლელი ალაყაფის კარით და

დაცვის ჯიხურით. საქმიანობა არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოების განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში მსგავსი საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, საქმიანობა არ არის დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში, შპს „ნეოპრინტი“ ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნეოპრინტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 18 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-692) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ნეოპრინტი“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „ნეოპრინტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 18 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-692) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნეოპრინტს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნეოპრინტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

